

## ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

### ოქმი #7

ქ. ონი

19. 07. 2018წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ბაჩანა მარკოიშვილი.

**საკრებულოს 33 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 25 წევრი:** ბაჩანა მარკოიშვილი, ვასილ მეტრეველი, ანა ბაქრაძე, ჯონი ბურდილაძე, ვასილ მაისურაძე, გოჩა მეტრეველი, გივი მეტრეველი, ვლადიმერ ჩლაიძე, დავით მეტრეველი, დიმიტრი გოშაძე, ღვთისაზარ ბაკურაძე, ვლადიმერ ბერელიძე, ჭაბუკა კერვალიშვილი, გიორგი მეტრეველი, გიორგი სულაძე, გიორგი მარკოიშვილი, სერგო ლობჯანიძე, მამუკა ყავლაშვილი, გიორგი მაისურაძე, ბესიკი მაისურაძე, გელა მეტრეველი, აველი ორდინიძე, როზა ჩალაძე, ალექსანდრე ბერიშვილი, დავით სხირტლაძე.

**არ ესწრებოდა 8 წევრი:** შუქურა ჯაფარიძე, სონია გუგეშაშვილი, ვანო ბალაშვილი, კესო ჩარკვიანი, შორენა რეხვიაშვილი, ნოდარ ბურდილაძე, ბექარ მაისურაძე, ირმა სტეფნაძე-იაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს აპარატის უფროსი ალექსანდრე კერვალიშვილი, მუნიციპალიტეტის მერი ემზარ საბანაძე, მერის პირველი მოადგილე მერაბ ორდინიძე, პირველადი სტრუქტურული ერთეულის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი მარიამ გობეჯიშვილი, მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკის სამსახურის უფროსი დავით რაზმაძე, მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო სამსახურის ბიუჯეტის ანალიზისა და დაგეგმარების განყოფილების უფროსი თინათინ ბროლაშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. ონის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში 2017 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხსენებელი- ე. საბანაძე

2. ონის მუნიციპალიტეტის 2018 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ;

მომხსენებელი: მ. ორდინიძე

3. ონის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ექვსი თვის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

(მომხსენებელი: მ. ორდინიძე

4. ონის მუნიციპალიტეტის სახელზე რიცხული დამატებითი ქონების: ქალაქ ონში, მოედნის ქუჩა #2-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების და მასზე დამაგრებული შენობა-ნაგებობის (მიწის (უძრავი ქონების)) ს/კ 88.18.21.837 სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

(მომხსენებელი: დავით რაზმაძე)

5. „ონის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში პრემიის ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების თაობაზე“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 დეკემბრის #42 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ.

(მომხსენებელი: ბ. მარკოიშვილი)

6. საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ინფორმაცია 2018 წლის 6 თვეში სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესახებ.

(მომხსენებელი: ს. ლობჯანიძე)

დღის წესრიგი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე-ყველა, წინააღმდეგი-არცერთი

დამტკიცდა დღის წესრიგი

**მოისმინეს:** 1. ონის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში 2017 წელს განეული მუშაობის შესახებ.

მომხსენებელი- ე. საბანაძე

მომხსენებელმა სხდომას გააცნო ონის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში 2017 წელს განეული მუშაობის შესახებ.

ცნობად იქნა მიღებული მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში 2017 წელს განეული მუშაობის შესახებ.

**მოისმინეს:** 2. ონის მუნიციპალიტეტის 2018 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ;

მომხსენებელი: მ. ორდინიძე

მომხსენებელმა სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის 2018 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ;

აზრი გამოთქვას: ა. კერვალიშვილმა განაცხადა, რომ საჭიროა სოფ. სორში გაიწმინდოს სახელმწიფო გზის მიმდებარედ არსებული არხი, რათა გახდეს გამტარუნარიანი. ამჟამად გ. კერვალიშვილის სახლის მიმდებარედ გაკეთებული არხი არაეფექტურია და ვერ იმუშავებს თუ არ გაკეთდა ჩამომავალი არხი მთლიანად და არ გაიწმინდა.

ვ. მეტრეველმა ისაუბრა მუნიციპალიტეტის სოფლებში ინფრასტრუქტურის კუთხით, განსაკუთრებით წყალსადენებისა და სასმელი წყლის რეაბილიტაციისათვის შესრულებული სამუშაოების ხარისხზე და აღნიშნა, რომ სოფლებში-გლოლაში, უწერაში, სორში, შქმერში, ბარსა და ცხმორში სასმელი წყლის რეაბილიტაციაზე დახარჯულია გარკვეული თანხები, მაგრამ მოსახლეობა მაინც სასმელი წყლის გარეშეა. როგორც მან აღნიშნა, ფრაქციის სხდომაზე აღნიშნული საკითხის განხილვისას, დეპუტატებმა მიიღეს გადაწყვეტილება, შეიქმნას ღრობითი სამუშაო ჯგუფი, სადაც ჩართულები იქნებიან საკრებულოს წევრები, მაჟორიტარი დეპუტატები და შეისწავლიან აღნიშნული კუთხით არსებულ პრობლემებს. მუნიციპალიტეტის მერმა ე. საბანაძემ განაცხადა, რომ ამ ეტაპზე ღრობითი სამუშაო ჯგუფის შექმნა არ იქნება შედეგის მომცემი. ნებისმიერი პროექტი უნდა შედგეს ისე, რომ თავიდანვე ჩასავარდნად არ იყოს განწირული. უმჯობესია ერთ პროექტზე გამოიყოს საჭირო და საკმარისი თანხა და პროექტი გაკეთდეს ხარისხიანად, ვიდრე რამდენიმე სოფელზე გადანაწილდეს და პროექტები შესრულდეს უხარისხოდ. აუცილებელია, შესრულებული სამუშაოს ჩაბარება მოხდეს შესაბამისი სოფლის მაჟორიტარი დეპუტატის, მერის წარმომადგენლისა და მოსახლეობის წარმომადგენლის ჩართულობით, ეს საშუალებას მოგვცემს აღარ გვექონდეს პრეტენზია, შესრულებულ სამუშაოზე, პროექტი უნდა შესრულდეს ისე, რომ იმუშაოს რამდენიმე წელი. ჩვენ გვაქვს უფლება ჩაბარებულ სამუშაოზე სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს წარმომადგენელსაც, ზედამხედველსაც მოვთხოვოთ პასუხი და გამოვასწორობინოთ ხარვეზი. სამუშაოს ხარისხზე თანაბარი პასუხისმგებლობა ეკისრება პროექტის შემდგენელს, შემსრულებელს და მიღება-ჩაბარების კომისიას.

საკითხი, ონის მუნიციპალიტეტის 2018 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ, დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

**გადაწყდა:** დამტკიცდა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

**მოისმინეს:** 3. ონის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ექვსი თვის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

(მომხსენებელი: მ. ორდინიძე)

მ. ორდინიძემ სხდომას გააცნო ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ექვსი თვის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

ცნობად იქნა მიღებული ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ექვსი თვის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

**მოისმინეს:4.** ონის მუნიციპალიტეტის სახელმწიფო რიცხული დამატებითი ქონების: ქალაქ ონში, მოედნის ქუჩა #2-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების და მასზე დამაგრებული შენობა-ნაგებობის (მიწის (უძრავი ქონების)) ს/კ 88.18.21.837 სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

(მომხსენებელი: დავით რაზმაძე)

დ. რაზმაძემ სხდომას გააცნო განკარგულების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის სახელმწიფო რიცხული დამატებითი ქონების: ქალაქ ონში, მოედნის ქუჩა #2-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების და მასზე დამაგრებული შენობა-ნაგებობის (მიწის (უძრავი ქონების)) ს/კ 88.18.21.837 სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე-ყველა, წინააღმდეგი- არცერთი

**გადაწყდა:** დამტკიცდა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

**მოისმინეს: 5.** „ონის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში პრემიის ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების თაობაზე“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 დეკემბრის #42 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ.

(მომხსენებელი: ბ. მარკოიშვილი)

მომხსენებელმა სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი „ონის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში პრემიის ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების თაობაზე“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 დეკემბრის #42 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე-ყველა, წინააღმდეგი- არცერთი

**გადაწყდა:** დამტკიცდა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

**მოისმინეს:** 6. . საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ინფორმაცია 2018 წლის 6 თვეში სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესახებ.

(მომხსენებელი: ს. ლობჯანიძე)

ს. ლობჯანიძემ სხდომას გააცნო ინფორმაცია 2018 წლის 6 თვეში სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესახებ.

ცნობად იქნა მიღებული წარმოდგენილი ინფორმაცია.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამონურვის შემდეგ დეპუტატებმა ისაუბრეს სხვადასხვა საკითხებზე. რ. ჩალაძემ აღნიშნა, რომ სოფ. ნაკიეთში მოსახლეობა ითხოვს სოფლის სათიბებისკენ მიმავალი გზის რეაბილიტაციას, რაზეც მერმა, ე. საბანაძემ, უპასუხა, რომ საკითხი დადებითად გადაწყდება.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

**ბაჩანა მარკოიშვილი**

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

